მალხაზ გოგუა

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.11

კონსერვატიზმი და ქართული საზოგადოება

აბსტრაქტი: *სტატიის მიზანია ყურადღება გავამახვილოთ კონკრეტულ იდეოლოგიაზე- კონსერვატიზმზე, მის როლზე ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. კონსერვატიზმის გავლენას ყველა ერი განიცდის, ამ მხრივ არც ქართველი ერია გამონაკლისი. ჯერ კიდევ, როცა კონსერვატიზმი ევროპაში ოფიციალურ იდეოლოგიად არ იყო ჩამოყალიბებული, ქართველი ხალხის ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა ის ფასეულობები, რასაც აღნიშნული იდეოლოგია ეფუძნება. პატრიოტიზმი, ტრადიციებისა და წარსულის პატივისცემა - ესენია მთავარი ცნებები, რომელთაც ოდითგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი კაცი და მათ საფუძველზე იქმნებოდა ქართული ეროვნული თვითშეგნება ანუ ეროვნული იდეოლოგია.*

ამოსავალი სიტყვები: *იდეოლოგია, კონსერვატიზმი, ქართული საზოგადოება, პატრიოტიზმი, ლიბერალიზმი, ტრადიციები.*

Malkhaz Gogua

Conservatism and Georgian Society

Abstract: *The purpose of the article is to focus on a special ideology, conservatism, and its role in developing national awareness in Georgian society. All nations are affected by conservatism and Georgia is no exception. In the past, when conservatism was not as fully established as a leading ideology in Europe, the lives of Georgian people were impacted greatly by the values which serve as the basis for this ideology. Patriotism and respect for traditions and the past have been central values for Georgians for centuries. As such, Georgian national self-consciousness or a national ideology was created based on this.*

Keywords: *ideology,conservatism, Georgian Society, liberalism, patriotism, traditon.*

იდეოლოგიის გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე დიდია, რამდენადაც იგი საზოგადოებრივი ცნობიერების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. ყოველ პოლიტიკურ,

ეკონომიკურ თუ სოციალურ ცვლილებას გარკვეული იდეოლოგია უდევს საფუძვლად. ,,უიდეოლოგიო საზოგადოება არ არსებობს. თვით პრიმიტიულ საზოგადოებაშიც კი თავს იჩენდა იდეოლოგიური მრწამსის ელემენტები, თუმცა მაშინდელი სოციალური ცხოვრება ეწყობოდა უაღრესად შეზღუდული იდეებისა და წარმოდგენების, ჭეშმარიტი ღირებულებების მიუწვდომლობის ვითარებაში. სულ სხვაა თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება, რომლის ცხოვრება და საქმიანობა განუყოფელია მეცნიერული აზროვნების მონაპოვრებისგან, რის გამოც იდეოლოგია მნიშვნელოვან ნაწილში მეცნიერულ საფუძველს ემყარება“ (ლუტიძე 1999: 302).

მეცნიერებაში არ არსებობს იდეოლოგიის ერთიანი განსაზღვრება, რამდენადაც ის იმდენად რთული ფენომენია, რომ მისი არსის ერთ პრიზმაში განხილვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა, პოლიტიკურ მეცნიერებაში თანხმდებიან იმაზე, რომ იგი „ურთიერთდაკავშირებულ იდეათა ერთობლიობაა, მრწამსზე მორგებული იმგვარი სისტემა, სადაც უმთავრესად ქმედება მიიჩნევა და რაც, თავის მხრივ, უკვე პოლიტიკური აქტივობისაკენ გვიბიძგებს“ (ჰეივუდი 2008: 69). ყველა იდეოლოგიას გაჩნია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისება ანდა ზოგიერთი თავისი არსით შეიძლება იმდენად ნეგატიური იყოს, რომ საზოგადოებას რეგრესისაკენ უბიძგოს. ამის მაგალითები მრავლადაა ისტორიაში.

ჩვენი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს იდეოლოგიის რაობის, წარმოშობის ან ფუნქციების შესწავლა. აღნიშნულ პრობლემაზე ბევრი დაიწერა და იწერება დღესაც, რამაც განაპირობა აზრთა სხვადასხვაობა იდეოლოგიასთან დაკავშირებით. სტატიაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ კონკრეტულ იდეოლოგიაზე - კონსერვატიზმზე, მის როლზე ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში. მანამ, სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა ზოგადად დავახასიათოთ კონსერვატიზმის არსი, მისი ძირითადი პრინციპები და ფორმები.

ცნობილია, რომ კონსერვატიზმის, (ლათ. konservate-შენახვა) როგორც იდეოლოგიის წარმოშობა უკავშირდება საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის საწინააღმდეგო რეაქციას, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ევროპის ბევრ ქვეყანაში ვერ ეგუებოდა რევოლუციით გამოწვეულ ცვლილებებს. კონსერვატორები მოითხოვდნენ მონარქიული მმართველობისა და ტრადიციული სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. ამ იდეებმა თავისი

ასახვა პოვეს XVIII საუკუნის ინგლისელი მოაზროვნის ედმუნდ ბერკის 1790 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოსაზრებები საფრანგეთის რევოლუციაზე“. „ამერიკული რევოლუციისადმი გარკვეული სიმპათიის მიუხედავად, ბერკი მაინც მკაცრად უდგებოდა საფრანგეთიდან მომდინარე იმ პრინციპების ხელოვნურად დანერგვის მცდელობას, როგორებიცაა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა; ამტკიცებდა სიბრძნის ერთადერთი წყარო გამოცდილება, ტრადიცია და ისტორიაარ, თუმცა, ასევე მიაჩნდა, რომ საფრანგეთის მონარქია თავად იყო დამნაშავე საკუთარ უბედურებაში, ვინაიდან არ მოისურვა „შეცვლილიყო რათა შეენარჩუნებინა“ (ჰეივუდი 2008: 75). კონსერვატორები ეწინააღმდეგებიან ხელოვნურ ცვლილებებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამგვარმა ქმედებებმა შეიძლება საზოგადოება მიიყვანოს უმძიმეს მდგომარეობამდე. რევოლუციურმა გარდაქმნებმა და ძალისმიერმა ცვლილებებმა ხშირ შემთხვევაში თუ რა უარყოფითი შედეგები გამოიღო ზოგიერთ ქვეყანაში, ამის მაგალითები მრავლადაა ისტორიაში.

მშვიდობიანი გარდაქმნები, ტრადიციებისა და წარსულის პატივისცემა არის ის ამოსავალი დებულებები რითაც საზრდოობს კონსერვატიული იდეოლოგია. სწორედ, აღნიშნული ფასეულობების გამო გახდა იგი მიმზიდველი საზოგადოებისთვის.

კონსერვატიზმი უპირისპირდება ისეთ იდეოლოგიებს, როგორებიცაა, ლიბერალიზმი, სოციალიზმი და ნაციონალიზმი, თუმცა, დროთა განმავლობაში ყველა მათგანს კარგად შეერწყა და ჩამოყალიბდა კონსერვატიზმის ისეთი ფორმები, როგორიცაა ლიბერტარიანული კონსერვატიზმი, პატერნალისტური კონსერვატიზმი, რაც შეეხება მის ურთიერთობას ნაციონალიზმთან, დღეისათვის ისინი თითქმის ერთმანეთთანაა გაიგივებული. ასე, რომ ნაციონალისტები თავიანთ თავს ხშირად კონსერვატორებს უწოდებენ ან პირიქით. თვით ნაციონალისტურ იდეოლოგიაში ჩამოყალიბდა კონსერვატიზმის ისეთი სახესხვაობა, როგორიცაა კონსერვატიული ნაციონალიზმი, რომელიც ,,უკვე არსებული ეროვნული სახელმწიფოების განვითარებისკენ უფროა მიმართული ვიდრე ახალი ერების მშენებლობისკენ... კონსერვატიული ნაციონალიზმის მთავარი მიზანია პატრიოტიზმისა და „ეროვნული სიამაყის“ განმტკიცების გზით ეროვნული ერთიანობის შენარჩუნება... ნაციონალიზმის კონსერვატიულ ბუნებას წარსული ტრადიციებისა და ისტორიისადმი აპელირება განაპირობებს; ამრიგად, ნაციონალიზმი ტრადიციული ინსტიტუტებისა და ცხოვრების წესის დამცველად გვევლინება“ (ჰეივუდი 2005: 199).

კონსერვატიზმის გავლენას ყველა ერი განიცდის, ამ მხრივ არც ქართველი ერია გამონაკლისი. ჯერ კიდევ, როცა კონსერვატიზმი ევროპაში ოფიციალურ იდეოლოგიად არ იყო ჩამოყალიბებული, ქართველი ხალხის ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა ის ფასეულობები, რასაც ეს იდეოლოგია ეფუძნება. პატრიოტიზმი, ტრადიციებისა და წარსულის პატივისცემა - ესენია ის მთავარი ცნებები, რომელთან ოდითგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი კაცი და მათ საფუძველზე იქმნებოდა ქართული ეროვნული თვითშეგნება ანუ ეროვნული იდეოლოგია. როგორც პროფ. გურამ ყორანაშვილი აღნიშნავს, „ქართული (უფრო სწორად, ქართველური) ეთნიკური, ეროვნული იდეოლოგიის საწყისები მოდის ჩვენი წინაპრების გვაროვნულ-ტომობრივი ყოფიერებიდან. უკვე ამ უძველეს ეპოქაში გამოიკვეთა ეთნიკური ცნობიერება „ჩვენ ჯგუფისა“ (we-group), რომელიც მოიცავდა ტომს (ხოლო ტომის შიგნით გვარებს) „არაჩვენ ჯგუფი“ (they- group), რომელიც სხვა ტომებს მოიცავდა“ (ყორანაშვილი 1999: 351).

პატრიოტიზმის საკითხი ყოველთვის უმთავრესი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ხალხს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ბრძოლა უხდებოდა გარეშე მტრებთან ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ან მის შესანარჩუნებლად სამშობლოს სიყვარული უმაღლეს რანგში ჰყავდა აყვანილი. ე. ბერკიც თავის ცნობილ ნაშრომში პატრიოტიზმს განიხილავდა, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც ყველა ინდივიდუალურ ინტერესს აღემატება (მჭედლიძე 2017: 29). მტრებთან დაპირისპირებაში ქართველებს ზურგს უმაგრებდა საკუთარი ქვეყნის წარსული, ის დიდი თავგანწირვა, რასაც მათი წინაპრები იჩენდნენ სამშობლოს დასაცავად. „თავისებურება სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდისა, სპეციფიკა ქართული სახლის სიყვარულისა, საერთოდ, ქართული პატრიოტიკა ფონდირებულია საქართველოს ისტორიის თავისებურებაში“ (შუბითიძე, ქოჩორაძე 2001: 216).

ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ქრისტიანულმა რელიგიამაც. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან „ჩვენი წინაპრები თანდათანობით ახდენდნენ ქრისტიანობის ნაციონალიზაციას, გაეროვნულებას“ (ყორანაშვილი 1999: 353). დროთა განმავლობაში ქრისტიანობა და ქართული ეროვნულობა ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ ძველ საქართველოში ისინი ერთი და იგივე ცნებებად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობის სიყვარული მისთვის

თავგანწირვა, სამშობლოს სიყვარულს, მისი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვას ნიშნავდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონსერვატიზმის მთავარი საყრდენია ტრადიციებისადმი პატივისცემა ანუ პატივისცემა იმისა, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებულია და თაობიდან თაობას გადაეცემა წარმოდგენების, რიტუალების, ადათ-წესების და ა.შ. სახით. ტრადიცია შესაძლოა, გავრცელებული იყოს ერის, ეთნიკური ჯგუფის, ოჯახის შიგნით ან თაობაში. თუ როგორ ინარჩუნებდა და პატივს სცემდა ქართველი ხალხი საკუთარ ტრადიციებს ამაზე მოწმობს ჩვენი ისტორიული წარსული და დღესაც კი ამ გლობალიზაციის ხანაში , როდესაც პოლიტიკური ხედვები მკაცრად უპირისპირდება ეროვნულს და ამით ცდილობენ მის მიჩქმალვას, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ცდილობს შეინარჩუნოს ის ფასეული, რითაც სულდგმულობდა ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში და რითაც მოაღწია აქამდე. ეს შეინიშნება რელიგიის, კულტურის, განათლების და სხვა სფეროებში. ქართველ კაცს ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, ამიტომ მათი დაკარგვა საკუთარი არსებობის დასასრულად მიაჩნდა. როგორც დიდი ილია მიუთითებდა“ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჯერებულ და ჟამთა ხნიერობით ბეჭედ დაკრული და დამტკიცებული. ამ მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა“ (ჭავჭავაძე 1955: 88-89).

 идеологиური თვალსაზრისით თუ შევაფასებთ XX საუკუნემდე საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ის შეიძლება შეფასდეს, როგორც კონსერვატიული-ნაციონალიზმი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაშინდელი ქართული საზოგადოება არ იზიარებდა ლიბერალურ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, თავისუფლებისადმი სიყვარული და კონსტიტუციონალიზმიც კი, იგულისხმება XII ს-ში ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ასპარეზზე მათ მიერ წამოყენებული ხელისუფლების დანაწევრების მოთხოვნა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მერე აქტუალური გახდა ევროპელ მოაზროვნეთა შრომებში. ასევე, იგულისხმება 1832 წლის შეთქმულება და თერგდალეულთა შეხედულებები.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დასავლურ სამყაროში თანდათანობით გავრცელებას იწყებს კონსერვატიული იდეოლოგია და სერიოზულ კონკურენციას უწევს ლიბერალიზმსა და სოციალიზმს, საქართველოშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები.

თერგდალეულთა პლეადის წარმომადგენლები კონსერვატიულ იდეოლოგიას კარგად უთავსებდნენ ლიბერალურ პრინციპებს. ამ მხრივ მაინც, ილია ჭავჭავაძე იყო გამორჩეული. ილიამ მოგვცა კონსერვატიული და ლიბერალური იდეოლოგიის ერთმანეთთან შერწყმისა და შეთავსების შესანიშნავი ნიმუში, რომლისაც ალბათ ბევრ ევროპელ მოაზროვნესაც შეშურდებოდა. ილიას აზრით,კონსერვატიზმი ეფუძნება იმ წყობას, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, ხოლო ლიბერალიზმი ეყრდნობა იმას „რასაც დღევანდელი დღე თხოულობს“ (გოგიაშვილი 2003: 91).

ილია ჭავჭავაძეს კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის ერთიანობის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდა ერის არსებობა და განვითარება. ამიტომ მისი აზრით, ყველა ცივილიზებული ერი ამ ორი იდეოლოგიის საფუძველზე უნდა აგებდეს თავის ცხოვრებას. „ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორპირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარებას“ (გოგიაშვილი 2003:93).

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს ბრძოლა უხდებოდათ ორ, საქართველოსათვის მავნე იდეოლოგიასთან, პირველი იყო რუსული კონსერვატიზმი, რომელიც გაჟღენთილი იყო შოვინიზმით, რაც გამოიხატებოდა იმპერიაში შემავალი ერების ჩაგვრასა და სიძულვილში და მეორე იდეოლოგია ეს გახლდათ მარქსიზმი, რომელიც ეროვნულ საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა.

თუ რას წარმოადგენდა რუსული შოვინიზმი, რომელსაც ეყრდნობოდა რუსული მმართველობა, ეს კარგად აქვს აღწერილი თერგდალეულთა პლეადის ღირსეულ წარმომადგენელს ნიკო ნიკოლაძეს თავის სტატიაში სახელწოდებით „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“, რომელიც გამოქვეყნდა 1918 წელს გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე. ნ. ნიკოლაძე მიუთითებს იმ საშინელებებზე, რაც რუსეთის ბატონობის შემდეგ თავს დაატყდა საქართველოს. იგი წერდა: „120 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისი ბედი დაუკავშირა რუსეთს. მოყვრად და მეგობრად მოწვეული რუსი მალე გარდაიქმნა ბატონად და მჩაგვრელად, დიდი ზიანი ნახა საქართველომ ამ კავშირით. ბევრი ტანჯვა და ვაება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან... არამარტო საგაზეთო წერილით, არამედ მთელი ტომებითაც ვერ აღწერს კაცი იმ საშინელებებს, რაც ხვდა საქართველოს რუსის მთავრობისაგან. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების და განადგურების. რუსის მთავრობამ საქართველოში მოსპო ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, სკოლა, სასამართლო და

შემოიღო ყველაფერი რუსული. მან მოისურვა ქართული სულის ამოგლეჯა... ამ ბატონობამ დათრგუნა და დაჩაგრა ქართველი ხალხი. დასეტყვა ერის ნიჭი, ინიციატივა, შემოქმედება და ეროვნული გრძნობა“ **(ნიკოლაძე 1918).** ნ. ნიკოლაძის არც სოციალიზმი დარჩენია უკრიტიკოდ. იგი სოციალიზმს მანკიერ მოვლენად მიიჩნევდა. მისი აზრით, ,,სოციალიზმს დემაგოგიის მეტი არაფერი შეუქმნია. ის ყოველთვის იყო დესპოტიზმის წინამორბედი“ (ნიკოლაძე 1919:34-38).

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში რუსული მმართველობის წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოხდა. მათი უმეტესობა კონსერვატიულ ხასიათს ატარებდა, თუმცა ლიბერალურ ელემენტებსაც შეიცავდა. ამ კუთხით საყურადღებოა 1832 წლის შეთქმულება, რომლის მონაწილეთა ერთი ნაწილი მხარს კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა, მეორე ნაწილი რესპუბლიკურ წყობას.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა XIX ს-ის მეორე ნახევარშიც, თუმცა განსხვავებული მეთოდით. თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ბრძოლის მშვიდობიანი გზა აირჩიეს. ისინი სიტყვით და კალმით დაუპირისპირდნენ იმ უსამართლობას, რასაც ადგილი ჰქონდა იმ დროისათვის. ხედავდნენ რა, რომ იარაღით და ძალით ძნელი იყო ბრძოლა იმპერიასთან, შეეცადნენ თავიანთი შემოქმედებით გამოეღვიძებინათ ქართული საზოგადოება, რომელიც უკვე შეგუებული იყო რუსულ მმართველობას, რასაც სამომავლოდ შესაძლებელი იყო უმძიმესი შედეგები გამოეღო ჩვენი ქვეყნისათვის. აღნიშნული პერიოდი იმითაც იყო გამორჩეული, რომ სწორედ მაშინ მოხდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში კონსერვატიული და ლიბერალური ხედვების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც უდავოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

1921 წლიდან, როდესაც საბჭოთა რუსეთმა განახორციელა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსია, მთელი კომუნისტური რეჟიმის არსებობის მანძილზე არაერთი ქართველი პატრიოტი შეეწირა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, ბევრმა კი, საბჭოთა გულაგებსა და ციხეებში გაატარა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები.

კომუნისტური იდეოლოგიის არსებობის პერიოდში, რომელიც ყოველივე ეროვნულს მკაცრად უპირისპირდებოდა, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მაინც

ახერხებდნენ თავიანთი შემოქმედება ეროვნულ მოტივებზე აეგოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პარტიული მუშაკიც არ ღალატობდა ტრადიციებს და საკუთარ ოჯახებში აღნიშნავდა დიდ საეკლესიო დღესასწაულებს, ფარულად ანათვლინებდა ოჯახის წევრებს და ა.შ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად პატივისცემით იყო განმსჭვალული ქართველი კაცი ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების მიმართ.

თუ რამდენად კონსერვატიულია ქართული საზოგადოება, ეს დაამტკიცა XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს აზვირთებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, როდესაც ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა იზიარებდა ეროვნული მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვათა იდეებს.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა იდეოლოგიური თვალსაზრისით თანამედროვე საქართველოში. ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართული ეკლესიის მრევლია და უყვარს საკუთარი ქვეყნის წარსული, მისი ტრადიციები, ამასთანავე ტოლერანტულიცაა, მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას დასავლურ სტრუქტურებში და ა.შ. თუმცა, ამ ბოლო წლებში ქართულ საზოგადოებაში გამოჩნდნენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ყოველივე დასავლურს მკაცრად აკრიტიკებენ და მავნედ მიაჩნიათ საქართველოსთვის, ასევე მომრავლდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ყოველივე ეროვნულისადმი პატივისცემას ანტიდასავლურად, ანტიდემოკრატიულად მიიჩნევენ. ასეთი გრძნობების გაღვივებას ხელს უწყობს ზოგიერთი პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციაც, რაც სამომავლოდ დიდ საფრთხეს უქადის ჩვენს ქვეყანას. არც ზღვარს გადაცილებული კონსერვატიზმი ვარგა და არც ლიბერალიზმი. ურაპატრიოტიზმი და ფსევდოლიბერალიზმი მავნეა ყველა ერისთვის. ამასთან დაკავშირებით 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II მიუთითებს: „საერთოდ მართლმადიდებლობა ყოველგვარი უკიდურესობებისაგან გამიჯნული სამეუფო გზაა. აქედან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია თავგანწირვა, მაგრამ მიუღებელია ფანატიზმი, დამახასიათებელია შემწყნარებლობა, მაგრამ მიუღებელია ფსევდოლიბერალიზმი (ყველაფრის დაშვებულობა)“ (ილია II 2008).

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. ქართული საზოგადოება ყოველთვის განიცდიდა კონსერვატიული პრინციპების გავლენას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს,რომ ის გულგრილი იყო ლიბერალური ფასეულობების მიმართაც. ეს ასე იყო, არის და ასე იქნება მომავალშიც. 2. ქართული ეროვნული იდეოლოგია უნდა დაეფუძნოს XIX-ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა-თერგდალეულთა შეხედულებებს და 3. ამ ბოლო ხანებში ხშირად გვესმის შემდეგი მოსაზრებები, რომ ქართულმა საზოგადოებამ ზურგი შეაქცია დასავლურ ღირებულებებს, დასავლურ სტრუქტურებს და ა.შ. რაც არ არის მართებული. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს. ბოლო დროინდელი ყველა სოციოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რატომ იკავებს თავს ეს ავტორიტეტული ორგანიზაცია საქართველოს მიღებაზე თავის შემადგენლობაში ეს ცალკე განსჯის საგანია და ამაზე აქ არ შევჩერდებით.

ლიტერატურა:

გოგიაშვილი 2003: გოგიაშვილი ო., პოლიტოლოგია, თბ., 2003.

ილია II 2008: ილია II, სააღდგომო ეპისტოლე,თბ.,2008

ლუტიძე 1999: ლუტიძე ბ., ფილოსოფიური ძიებანი,კრ., III, თბ.,1999.

მჭედლიძე 2017: მჭედლიძე მ., სადოქტორო დისერტაცია, თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის იდეოლოგია,თბ.,2017.

ნიკოლაძე 1918: ნიკოლაძე ნ., რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი გაზ. „საქართველო“, 1918, 24 მარტი.

ნიკოლაძე 1919: ნიკოლაძე ნ., საქართველოს დამფუძნებელი კრება,1919 წლის 31 ოქტომბრის 57-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ყორანაშვილი 1999: ყორანაშვილი გ., ფილოსოფიური ძიებანი, კრ.III, თბ.,1999.

შუბითიძე, ქოჩორაძე 2001: შუბითიძე ვ., ქოჩორაძე ო., პოლიტოლოგია,თბ.,2001.

ჭავჭავაძე 1955: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ V, თბ.,1955.

ჰეივუდი 2005: ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2005.

ჰეივუდი 2008: ჰეივუდი ე., პოლიტიკა,თბ., 2008.